ნაწილაკები ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში (მეგრული ენის მაგალითზე)

მარიამ წულაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იზაბელა ქობალავა

სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

მარიამ წულაია

26.06.2017

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ენათეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის კვლევას, რომელიც ეხება ნაწილაკების როლს ენის სემანტიკურ-ლექსიკურ სისტემაში მეგრული ენის მაგალითზე.

კვლევის ფარგლებში დადგინდა ნაწილაკის, როგორც გრამატიკული ერთეულის, როლი სემანტიკაში. გამოკვეთილ იქნა, მეგრულ ენაში არსებული ნაწილაკების თავისებურებები და მათი სტრუქტურული და შინაარსობრივი განსხვავება სხვა ქართველური, კერძოდ ქართული ენისგან.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება თეორიული ენათმეცნიერების მორფო-სინტაქსური საკითხების თვალსაზრისით. ასევე ქართველურ ენათა თავისებურებების პრობლემატიკის გადასაწყვეტად.

ძირითადი საძიებო სიტვები: ნაწილაკი, მეტყველების ნაწილი, პოტენციალისი, ნაწილაკთა ფუნქცია, ნაწილაკთა სტრუქტურა